სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №9

ქ. თბილისი **2014 წლის 28 ნოემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. თოდუა ნუგზარი 2. მექვაბიშვილი ელგუჯა 3. აბესაძე ნინო 4. სოსიაშვილი თათია 5. გოდერძიშვილი ლია 6. ბერუაშვილი ანზორი 7. გოგინავა უშანგი 8. ხომერიკი რამაზი 9. თუთბერიძე ბეჟანი 10. მაჭავარიანი ლია 11. გეგეჭკორი არნოლდი 12. ხაჩიძე მანანა 13. ბექაური ბექა 14. თუმანიშვილი გიორგი 15. ცისკაძე მარიამი 16. თოდუა ნონა 17. კვირიკაშვილი ბახვა 18. კუპრაძე ირაკლი 19. იმნაძე პაატა 20. წერეთელი მარი 21. შამილიშვილი მანანა 22. ლორთქიფანიძე ლევანი 23. საბაური შალვა 24. ჟვანია ირინე 25. ჩახუნაშვილი ნინო 26. დადეშქელიანი ბექა 27. ლორია კახაბერი 28. გელოვანი ნანი 29. თაბუაშვილი აპოლონი 30. ბრაჭული ირაკლი 31. პაიჭაძე თამარი 32. ჯეგაშვილი ნანა 33. მინდიაშვილი თეონა 34. სამხარაძე ლაშა 35. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. გოგსაძე გიორგი 5. ცერცვაძე თენგიზი 6. გალდავა გიორგი 7. კოპალეიშვილი მაია 8. სურგულაძე ნუგზარი 9. სამსონია შოთა 10. ომანაძე როლანდი 11. მარშავა ქეთევანი 12. აბაშიძე თამარი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბისა და დროშის სავარაუდო ესკიზების შესარჩევი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ცვლილებების დამტკიცება
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული უფუნქციო შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის საკითხი
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის საკითხი
5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მე-4 სართულზე სამუშაოების ჩატარების ნებართვის საკითხი
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობაზე თანხმობის გაცემის საკითხი
7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების ცვლილების დამტკიცება

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბისა და დროშის სავარაუდო ესკიზების შესარჩევი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი. მისი განმარტებით, წინა მოწვევის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჰერალდიკოსებმა წარმოადგინეს უნივერსიტეტის გერბისა და დროშის სხვადასხვა ვარიანტი. ესკიზი ძალიან ბევრია და რა თქმა უნდა, სენატი ყველა მათგანზე ვერ იმსჯელებს. აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეარჩევს ყველაზე კარგ ვარიანტებს და წარმოუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად. აღსანიშნავია, რომ დიმიტრი შევარდნაძის მიერ შექმნილი უნივერსიტეტის ლოგო დატანილი იყო ბეჭედზე, თუმცა გერბისა და დროშის დამტკიცების თაობაზე რაიმე გადაწყვეტილება უნივერსიტეტს თავისი არსებობის ისტორიაში არ მიუღია.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 35

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: შეიქმნას სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბისა და დროშის სავარაუდო ესკიზების შესარჩევი დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ნინო აბესაძე, მანანა შამილიშვილი, ლია მაჭავარიანი, კახაბერ ლორია, აპოლონ თაბუაშვილი, ბექა დადეშქელიანი, ირაკლი კუპრაძე, ბახვა კვირიკაშვილი, ლაშა სამხარაძე, ლევან ლორთქიფანიძე, შალვა საბაური, პაატა იმნაძე და ზურაბ გაიპარაშვილი.

2. საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო თსუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი. მისი განცხადებით, უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების დაზუსტების გამო აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ, თსუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის ცვლილება შემოსავლების ნაწილში ძირითადად განპირობებულია ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ახლად გამარჯვებული პროექტების დაფინანსებით, საერთაშორისო გრანტების მოცულობის ზრდით, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების სახელმწიფო ბიუჯეტის თანხის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი 38772/02 10.11.2014) და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაზუსტებით.

რაც შეეხება 2014 წლის ბიუჯეტში ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს, ის განპირობებულია: აკადემიური პერსონალის და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერასონალის საშტატო განრიგის

ცვლილებებით (შეიქმნა ახალი ფაკულტეტი, წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ფაკულტეტების მიხედვით აკადემიური პერსონალის კატეგორიების ცვლილებები, გაიზარდა საათობრივად მოწვეული პერსონალის რაოდენობა), ეროვნული და საერთაშორისო საგრანტო პროექტების, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვებით, ფაკულტეტების მოთხოვნების და სხვა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული თანხების მუხლიდან მუხლში გადატანით. კერძოდ, ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გასაწევი ხარჯების მოცულობა იზრდება 1 584 462 ლარით, ანალოგიურად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გასაწევი ხარჯების მოცულობა - 64 400 ლარით, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გასაწევი ხარჯების მოცულობა - 2 447 385 ლარით და ა.შ.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი გოგსაძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ბეჟან თუთბერიძემ და რამაზ ხომერიკმა, ქალბატონებმა - მანანა ხაჩიძემ და ნონა თოდუამ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 35

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ცვლილებები (დანართი 3)

3. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული უფუნქციო შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის საკითხი. მისი განცხადებით, საქმე ეხება ბიბლიოთეკის უკანა მხარეს, ხევისკენ მიმავალ გზაზე არსებულ შენობას, რომელიც ამორტიზებული არაა, თუმცა უფუნქციოა. მის ადგილას იგეგმება ორი 300-300 ადგილიანი საერთო საცხოვრებლის აგება. საპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოების დასაწყებად აუცილებელია წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობა.

ადმინისტრაციის უფროსმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ განაცხადა, რომ მსგავსი პროექტები უნივერსიტეტს აქამდეც განუხორციელებია. თსუ-ს გადმოეცა კონსტიტუციის ქუჩაზე

არსებული ძველი შენობა მედიცინის ფაკულტეტისთვის მუნიციპალური კლინიკის ასაშენებლად. შენობის რეაბილიტაცია ქ. თბილისის მთავრობასთან ერთად იგეგმება.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ დასძინა, რომ ბაგების საერთო საცხოვრებელში ძალზე ცუდი მდგომარეობაა, ამასთან, საერთო საცხოვრებლის შენობები ჯერაც არაა უნივერსიტეტისთვის გადმოცემული. თსუ-ს ძალიან სჭირდება სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები და ვინაიდან ბიბლიოთეკის მომიჯნავე ტერიტორია აუცილებლად ასათვისებელია, ლოგიკური იქნება, თუ იქ ამ დანიშნულების ობიექტს ავაშენებთ. სენატისგან შესაბამისი თანხმობის მიღების შემდეგ ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს ბიბლიოთეკასთან არსებულ უფუნქციო შენობას და დადგინდება, ღირს თუ არა მისი გამოყენება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ირაკლი კუპრაძემ წარმომადგენლობით საბჭოს მიმართა ინიციატივით, თუ სენატის მხრიდან დაინტერესება იქნება, მომავალი სხდომისთვის წარმოადგენს ინფორმაციასა და მცირე პრეზენტაციას სტუდქალაქსა და ბიბლიოთეკაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა ნონა თოდუამ და მარიამ ცისკაძემ, ბატონებმა - არნოლდ გეგეჭკორმა, ლევან ლორთქიფანიძემ, შალვა საბაურმა და ზურაბ გაიპარაშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:
მომხრე: 35
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-11 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი N01.14.06.006.020) არსებული უფუნქციო შენობა-ნაგებობის შემდგომში სასტუმროს ტიპის დანიშნულებით გამოყენების მიზნით რეაბილიტაციის პროცედურების დაწყების თაობაზე.

4. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის საკითხი. მისი განმარტებით, კომპანია „სილქნეტი“ ითხოვს სამუშაოების ჩასატარებლად ნებართვას. ხსენებული კომპანია გეგმავს უნივერსიტეტის ქ. N11-ში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე 34 მეტრიანი ერთარხიანი სატელეფონო კანალიზაციის მშენებლობას, რაც საჭიროებს მიწის გათხრითი სამუშაოების ჩატარებას და იკვეთება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ნაკვეთი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 35

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს ნებართვა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაბამისი სამუშაოების ჩატარებაზე.

5. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მე-4 სართულზე სამუშაოების ჩატარების ნებართვის საკითხი. მისი განმარტებით, მიმდინარე წლის 22 სექტემბერს სარეგისტრაციო ნომრით 32251/02 უნივერსიტეტში შემოსულია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბიბლიოთეკის შენობის მე-4 სართულზე განთავსებული ერთ-ერთი ოთახი იჯარით შპს „მობიტელს“ აქვს აღებული. შპს „მობიტელი“ ითხოვს მის მიერ იჯარით აღებულ ოთახამდე ახალი კაბელის მისაყვანად სამუშაოების ჩატარების ნებართვას, ბიბლიოთეკის ტერიტორიისა და შენობის გავლით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 35

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს ნებართვა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მე-4 სართულზე სამუშაოების ჩატარებაზე

6. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობაზე თანხმობის გაცემის საკითხი. მისი განცხადებით, უნივერსიტეტის ქუჩაზე უნივერსიტეტის კუთვნილი მიწის მომიჯნავე ფართობზე შპს „ვოსაკი“ გეგმავს საოფისე შენობის აგებას. მშენებლობისას შპს „ვოსაკი“ გეგმავს შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობასაც და ვინაიდან ეს უკანასაკნელი უნივერსიტეტის საკუთრებაშია, აუცილებელია წარმომადგენლობითი საბჭოს მხრიდან შესაბამისი თანხმობა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ლევან ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, თუკი შპს „ვოსაკი“ განმარტავდა, რა ტიპის შენობა-ნაგებობის აშენებაზეა საუბარი, რადგანაც უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია, რა შენდება მის მომიჯნავე ფართობზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს ლევან ლორთქიფანიძის მოსაზრება და საკითხის განხილვა მომავლისთვის გადაიდო იმ პირობით, რომ განხილვისას შპს „ვოსაკის“ წარმომადგენლები თავად განუმარტავენ წარმომადგენლობით საბჭოს მშენებლობასთან დაკავშირებულ დეტალებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სენატი შესაბამის თანხმობას არ გასცემს.

7. თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმოადგინა თსუ-ს ბიბლიოთეკის დებულების ცვლილების საკითხი. მისი განცხადებით, ცვლილებით ბიბლიოთეკის შემადგენლობას ემატება მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რაც იმითაა განპირობებული, რომ მედიცინის ფაკულტეტი ახალ შენობაში გადავიდა, რომელიც დიღომში მდებარეობს. სტუდენტებს ძალიან უჭირთ შორი მანძილის გამო შესაბამისი ლიტერატურით სარგებლობა. ამიტომაც ადმინისტრაციამ მედიცინის ფაკულტეტის შენობაში სამკითხველო დარბაზი მოაწყო, შესაბამისად, ფაკულტეტისათვის აუცილებელი ლიტერატურა გადაიტანება ახალ სამკითხველო დარბაზში და სტუდენტები თავისუფლად შეძლებენ მათ გამოყენებას.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა პაატა იმნაძემ, ბეჟან თუთბერიძემ და არნოლდ გეგეჭკორმა, ასევე, რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 35

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში“ და დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ჩ“ ქვეპუნქტი: ,,ჩ) მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა“.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2014 წლის 28 ნოემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- აბესაძე ნინო

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი

დანართი 1

- ხომერიკი რამაზი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- კუპრაძე ირაკლი

დანართი 1

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე

დანართი 1

- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ჯეგბაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2014 წლის 28 ნოემბერი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- გოგსაძე გიორგი
- გერსამია მარიამი
- ცერცვაძე თენგიზი
- გალდავა გიორგი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- სამსონია შოთა
- ომანაძე როლანდი
- სილაგაძე ავთანდილი
- მარშავა ქეთევანი
- ჭკუასელი ქეთევანი
- აბაშიძე თამარი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2014 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი

დასახელება	ლარი
ნაშთი	**19,036,550.0**
შემოსავლები	**62,610,536.0**
მათ შორის:	
ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების)	**14,579,711.0**
ეკონომიკური შემოსავლები (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება	**43,809,918.0**
სახელმწიფო ბიუჯეტი–უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები)	**4,458,600.0**
სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს	**1,048,500.0**
კანონმდებლობით ნებადართული სხვა ეკონომიკური შემოსავლები	**1,250,000.0**
ნაშთი(ეროვნული და საერთაშორისო გრანტების)	**4,456,839.0**
შემოსავლები ეროვნული და საერთაშორისო გრანტების	**12,043,518.0**
მ.შ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	7,784,518.0
მ.შ. საერთაშორისო გრანტები	4,259,000.0
მთლიანი ასიგნება	
სულ ასიგნება	**79622837**
ხარჯები	**76846025**
შრომის ანაზღაურება	**30732186**
საქონელი და მომსახურება	**39481339**
გრანტები	**310000**
სხვა ხარჯები	**6322500**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**2776812**
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**2024249**

მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**57,979,738.0**
ხარჯები	**56,538,738.0**
შრომის ანაზღაურება	**27,295,815.0**
საქონელი და მომსახურება	**25,538,923.0**
გრანტები	230,000.0
სხვა ხარჯები	**3,474,000.0**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,441,000.0**
ვალდებულებების კლება	
მათ შორის:შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**4,458,600.0**
ხარჯები	**4,423,943.0**
შრომის ანაზღაურება	**3,436,371.0**
საქონელი და მომსახურება	**987,572.0**
არაფინანსური აქტივების ზრდა	**34,657.0**
ვალდებულებების კლება	
,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''	
სულ ასიგნება	**1,048,500.0**
ხარჯები	**1,048,500.0**
შრომის ანაზღაურება	
სხვა ხარჯები	1,048,500.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	
ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტები	
სულ ასიგნება	**16,135,999.0**
ხარჯები	**14,834,844.0**
საქონელი და მომსახურება	**12,954,844.0**

გრანტები	80,000.0
სოციალური უზრუნველყოფა	
სხვა ხარჯები	1,800,000.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	**1,301,155.0**